ბასტი ბუბუ
ვაჟა-ფშაველა 76ბ,
თბილისი, საქართველო
(995 32) 230 32 20

Basti Bubu
Vaja-Pshavela Ave. 76b
Tbilisi, Georgia
(995 32) 230 00 41

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს, ბატონ ვახტანგ აბაშიძეს
ქ. თბილისი
26.04.2016 წ

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი მე-3 პუნქტის შესაბამისად მოგახსენებთ, რომ:

1) ამ შეტყობინების წარდგენამდე ჩვენს ორგანიზაციაში მოქმედ თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა;

ჩვენს სატელევიზიო არხზე "BBB" (ბასტი ბუბუ ბროდქასთინგ) ძირითადად გადაიცემოდა გადაცემები 3 სამიზნე ჯგუფისთვის:
S - სათამაშო გადაცემები 0-5 წლის ბავშვებისთვის;
M - მასწავლებელი გადაცემები 6-10 წლის ბავშვებისთვის:
U - უფროსებისთვის ანუ გადაცემები მშობლებისთვის.
8:00 დან 10:00 საათამდე სათამაშო გადაცემები
10:00 დან 12:00 საათამდე მასწავლებელი გადაცემები
ეს ოთხსაათიანი ბლოკი მეორდება დღის განმაბლობაში; 14:00 საათიდან 17:00 საათამდე არის მშობლებისთვის განკუთვნილი ზოლი სათაურით, მათთვის ვინც სახლშია. ეს არის ძირითადად დიასახლისებზე გათვლილი გადაცემები.
ასევე ეთერში გადაიცემა ბასტი ბუბუს არქივი და ანიმაციური ფილმები: Lala Loops, Shopkins და pepa pig.

2) 2016 წლისათვის სატელევიზიო არხზე "BBB" ვგეგმავთ სამი გადაცემის დამზადებას: დოდები - ეს არის სათამაშო შემეცნებითი გაკვეთილები ბაღებისთვის.

ბაბილინა - ეს არის მუსიკალური ზღაპრები ბავშვების მონაწილეობით
მინი თეატრი - ეს არის სპეციალურად კონკრეტულ ბავშვებზე შექმნილი ლექსები.
ასევე, ვგეგმავთ ბასტის და ბუბუს ანიმაციურ ანბანს შეემატოს ციფრების ისტორიები
სკოლის ასაკის ბავშვებისთვის მზადდება სატელევიზიო სერიალი. ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის მუსიკალური პრეზენტაციები, ასევე

Scanned by CamScanner

შემეცნებითი ბლოკი - მინდა ვიცოდე, სადაც ბავშვი აგენტები სპეციალისტების დახმარებით, პოულობენ პასუხებს მათთვის საინტერესო კითხვებზე
ასევე ცნობილი უცხოელი ვარსკვლავების ცხოვრებაზე და მათ რეპერტუარზე იქმნება ახალი სიმღერები.

ასევე ვფიქრობთ გავაკეთოთ მშობლების სკოლა, სადაც სპეციალისტებთან ერთად ისინი პასუხს გასცემენ ბავშვებს თემებზე, როგორიცაა ჯანმრთელობა, ფსიქოლოგია, გართობა.
ჩვენი სამომავლო კონცეფცია არის სტუდიის ბაზაზე ახალი სასწავლო ასაკობრივი პრიგრამების შექმნა და ამ პროგრამების ბაზაზე აემოთაღნიშნული გადაცემების დამზადება.

3) ჩვენი ორგანიზაციის დაფინანსების წყარო არის სტუდიის შემოსავალი, ასევე მცირე ოდენობით სარეკლამო შემოსავლები

აქვე ვადასტურებთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია მოქმედებდა და შესაბამისად მაუწყებლობდა საქართველოს კანონმდებლობის, ზემოთხსენებული კანონისა და ასევე ქცევის კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით.

შეტყობინებას თან ერთვის აუდიტის დასკვნა დანართ #1

პატივისცემით,

პაატა ამონაშვილი
დირექტორი

Scanned by CamScanner

აუდიტორის დასკვნა

შპს ბასტი-ბუბუს ხელმძღვანელობას:

დამოუკიდებელი აუდიტორი ირინე დავრაშელიძის მიერ ჩატარებულია შპს ***ბასტი-ბუბუს*** (ს/ნ 204870979) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2015 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას , აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის,მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებლია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასეთი პასუხისმგებლობა მოიცავს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებებითი უზუსტობების გარეშე შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, შიდა კონტროლის სისტემების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღნიშნული სტანდარტები მოითხოვს ეთიკური ნორმების დაცვას, აგრეთვე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას იმგვარად, რომ მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება,რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მნიშვნელოვან უზუსტობას.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების ჩატარებას,რომელიც გამიზნულია მტკიცებულებების მოპოვებაზე ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხებისა და განმარტებების თაობაზე.
აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებსა და

License Z # 6/376 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2952093 მობ: 598508887, 595439333 მისამართი: ბარათაშვილის ქ. #21 ს/ნ 400092760 ელ-ფოსტა: auditlux@yahoo.com ;Irina.davrasheljdze@yahoo.com ვებ.გვერდი www.auditluxservice.ge

Scanned by CamScanner

მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ***ბასტი-ბუბუს*** (ს/ნ 204870979) ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, ფინანსური შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ჩათვლით ამავე თარიღით დასრულებული წლებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისი სტანდარტების შესაბამისად.

20 აპრილი 2016 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორი
ირინე დავრაშელიძე

Scanned by CamScanner